

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი

# საბავშვო



საქართველოს საბავშვო ჟურნალი

თბილისი

№ 19

1910

მთავარი რედაქტორი

ვახტანგ შატავაძე

## შინაარსი.

I—სოსოს გატყევა, — ლექსი, დ. თურდოსხირელისა . . . . .	3
II—სამაგიერო, — განდგეგლისა . . . . .	5
III—მზე და მთვარე, — (ფრანგულით), შავიტასი . . . . .	10
IV—ყვავი, — (დასასრული) თარგმანი, ა. ახალშენიშვილისა . . . . .	14
V—ობოლი, — (იგავი), ალ შირიანაშვილისა . . . . .	22
VI—კაცმა ლომი მოატყუა, — (თარგმანი), ი. ჯ—სა . . . . .	23
VII—რებუსე და იღსნა . . . . .	24





## შინაარსი.

I—სოსოს გატყევა.—ლექსი, დ. თურდოსპირელისა.....	3
II—სამეფიერო,—განდგეილისა .....	5
III—მზე და მთვარე,—(ფრანგულით), მაგატასა .....	10
IV—ყვივი,—(დასასრული) თარგმანი, ა. ახალშენიშვილისა... ..	14
V—ობოლი,—(იკავი), ად შირიანაშვილისა .....	22
VI—კაცმა ლომი მოატყუა,—(თარგმანი), თ. ქ.—სა... ..	23
VII—რებუსი და აღსნა .....	24





## სოსოს გატყუება.



უცას, სონას და თამაროს  
 გაუმართათ არიფანა  
 და საჭირო ნადიმისთვის  
 მოეტანათ ვეველა თანა.

ვეველი, ჰური, ქათმის სორცი  
 ჩაემწკრივათ ღურჯ სუფურასე  
 და ძღუროდნენ სმა-შეწუობით  
 მოწკრიბლევ აღმტაც სმასე.

ამ დროს სოსო გაცხარებით  
 მათ სამებრად ბადში რბოდა,  
 — გოგოებო, საითა სართ! —  
 სმა ჩახლენათ გაჭკიოდა.

და რა მოჭკრა თვალი ტოლებს  
 მოქეიფეთ მომხიბლავად,  
 სწრაფად გვერდით ამოუჯდა,  
 უკითხავად, თავის-თავად.

თან შენიძნა: „რას დასუძლით?  
 შემოსძახეთ მკურელით,  
 მე კი ჰურს ვჭამ, თორემ ისე  
 გადაძლევა გულიო.“

მბგრამ დახეთ, გამოსალევ  
 სოფომ მოქნა თვის ენაო:  
 „შესეთ თქვენ, ამ ჩარფუზანამ  
 აქაც არ მოგვასვენაო!

თუ გინდოდა ჩვენთან ღსინი,  
 მოიტანდი შენ წილსაო,  
 გასწი, თვალით დაგვეკარგე,  
 ნუ გვიშხამებ სადილსაო.“

აქ კი სოსომ სიბრზისგან  
 სთქვა: „ეს მეტის-მეტიაო,  
 თავს გავიდნენ, უნდა ეველას  
 დავაუენო რეტიანო.

და როგორც კი აიძარტა,  
 თამრომ ხელი დაუწირა,  
 სოფომ სწრაფად სარმა გაჭკრა,  
 გადაბგდო თავდაუირა.

და გაჭკურცხლეს სამთავემა  
 კისკისით და ცქრიალითა,  
 სოსიას კი თვალებიდან  
 ცრემლი სჩქეუდა თქრიალითა.

დ. თურდოსპირელი.





## სამაგიერო.



ათენდა... ვარდის ფერ აღმოსავლეთს აღერ-  
სით შესცინა მზემ და ჰატარა რეზოს სა-  
წოლ ოთახშიაც ცელქურად შეათამაშა თავი-  
სი სსხივები. ოდნავ გაღებულს დარბაზს გა-  
უსრიალა ჰირველმა სსხივმა, სალამი მისცა  
ფუნთუშა ერძას და სიცოცხლე ახარა.

— ატატა!— წამოიძახა სასე მდიმარე ბავშვმა, წამოსკუბ-  
და ლოკინში და ღიმილით გადაჭხედა იქვე, თავის საწოლ-  
თან გულანად მძინარე გამდელს— ივლიტას.

— რაო, კენაცვალე, გაიღვიძე? — ტკბილის სმით შეეკით-  
ხა გამდელი, საჩქაროდ მივიდა, მოესვია მძვენიერს ბავშვს და  
მსურვალედ ჩაიკრა გულში.

— ატატა! ვაჩი!.. ბია!..

— ზო, კენაცვალე, ვაძლსაც მოგვემ და ბიასაც, \*) ჯერ  
კი ჩავიცვათ, ჰირი დავიბანოთ, რქე დავლიოთ.. სომ, კენ-  
აცვალე?

— ჰმ!— თავის დაქნევით დაეთანხმა ჰატარა და სინარუ-  
ლით დაიწყო ცმუტვა.

ფეხთ ჩააცვეს თუ არა, საჩქაროდ გაჭქანდა მძობლების სა-  
წოლ ოთახისაკენ, კარებიდანვე დაუწყო ძახილი მძობლებს და  
ერთ წუთში მთელი სახლი გამობღვიძა.

\*) კომპს იმერეთში ბიას ეძახიან.



— რა გინდა, შე მაიმუნო, რა? — ელაპარაკებოდნენ მძიმე კვანძის მქონე ლები და თავს ევლებოდნენ თავიანთ მვიწოფას შვილს.

აი, ფესზე დადგა ეველა. რეზოც მიუსვეს მავიდას და დილის საუზმე მიუტანეს.

საოცარი ბავუვი იყო რეზო. მიუსედავად იმისა, რომ ეველა თავს ევლებოდა და ასათუთებდა, იგი არასოდეს არ ჭირვეულობდა. დიმილია არა შორდებოდა იმის სახეს, ჰირის დაბანის დროს არასოდეს არ სტიროდა, ჰაწაწა ცაცებით დაუზარებლად იჭეუშვლავდა ხოლმე ჰირსა და არც თავის დავარცხნასე სტიროდა, სოგიერთ ბავუვივით. ჰატარბ იყო, სულ ორიოდვე წლისა, მაგრამ ტანისამოსს არ იჭეუჭეიანებდა, — ერთი ნამცეცა რამე რომ გადასხმოდა, მაშინვე ან თითონ გაიწმინდავდა, ან გამდელ ატატოს გახწმენდინებდა.

ამას გარდა, ერთი ფრიად მოსაწონი სწევს სჭირდა რეზოს: რაც უნდა მისი საეგარელი საჭმელი ჰქონოდა, არასოდეს ისე არ შესჭამდა, რომ სხვისთვის არ გაეზიარებინა. ეს ჩვეულება ჰატარობიდან დაჰყვა რეზოს და დიდობამაც ასეთივე დარჩა.

ერთხელ რეზო სახლის უკანა აივანზე ეთამაშებოდა თავის საეგარელ ფინიას, ხელში წკეპლა ეჭირა, დასდევდა ძალღსა და დაკუნტრუბოდა. ამ დროს აივანს ახლო მათხოვარის სმა გაისმა.

— ღმერთი შეგეწევათ, ღმერთი ბარაქს მოგცემთ, მომხედეთ, შექეწიეთ ღვთის გულიანათვის! — გაუბეღავის სმით იმეორებდა ფესშიველა, დაკონკილ ფარაჯამი კახვეული გაჭაღარავებული გლეხი.

რეზოს დედამ ამოიღო საფულედან აბაზიანი ვერცხლის ფული და გაუწოდა მთხოვნელს.

— შენი ოჯახი აამენოს ქრისტე ღმერთმა, — სიხარულით წამოიძახა, გლეხმა, — ევალა რომ ამდენს იმეტებდეს, ორ დღე-





მი მოუგროვებდი ჩემს საცოდავ შვილს სწავლის ფულს. დედასა! — დააუოლა მძიმე ოხვრა გლეხმა.

— რაო, რა სთქვი? მზრუნველობით შეეკითხა რეზოს დედა ეკა მათხოვარს.

— რაო, შენი ჭირიმე, და სახლ-კარი ცუცხლში გადამიწვა, საჩხო-საბადებელი გამიტიალა, ამ ფარაჯის ამარა და დავრჩი, სულის ვარდა აღარა შექმნენია-რა, მაგრამ ზედ მუტი ცუცხლი ის გამიხდა, რომ შვილი სკოლიდან გამომიგდეს სწავლის ფულს შუტანლობისათვის. აკერ საგლახაოდ ავდექი, იქნება მოუგროვო რომ, შენი ჭირიმე, ქალბატონო, მინდა ცოტა რამ მაინც ვასწავლო და კაცად გამოვიყვანო. აი, დედასა, მეც ჩემ წესზე კაი გლეხი კახლადით, შენი ჭირიმე, ახლა კი კარ და კარ უნდა ვიარო და ხალხი მოვაბეზრო... მა რა უნდა ვქნა... — მწუსარედ ამბობდა გლეხი.

ამ სიტყვებმა გული მოუკლა ეკას. მან მინ შეიყვანა მათხოვარი, სადღილი აჭმა, თავის ქმრის ნაცვამი ფეხსაცმელები და საცვლები მოუგროვა, ერთი მანეთი კიდევ მისცა და კუნა დაულოცა საცოდავს გლეხს.

მატარა რეზო ცნობის მოყვარეობით ადევნებდა თვალს ეველა ამას, ხან დედას შეხედავდა, ხან გლეხს და ხან თავის საუკარელ კამდელს. როცა გლეხი წამოდგა და წასასკელლად მოემზადა, რეზომ ჩაავლო ხელი კამდელს და დაეინებით დაუწყო თხოვა:

— ვაჩი, ბია, ვაჩი, ბიაო... კამდელამც აურჩია ორი მშენიერი ატამი და ვაშლისა და ბიის მაცეურად მისცა მატარას.

კახარებული რეზო საჩქაროდ კაიქცა კიბისაკენ, დაწინა წუნარად მიმავალს გლეხს და ორისავე ხელით გაუწოდა ატამები. მოხუცი მობრუნდა, სიყვარულით შეჰხედა ბავშვს სათ-



ნოების გამომეტყველ თვალებით, მერმე მოკრძალებით გასმინებულ  
 ართვა ორი ატამი, დალოცა კეთილი ბავშვი და წავიდა.

## II

ძას შემდეგ კარგა ხანმა განვლო. რუსო ახლა მოზრდი-  
 ლი ბავშვი იყო, უკვე სკოლაში დადიოდა და იქაც სამაგა-  
 ლითო იყო თავის კარგის ეოფა-ქცევით. ერთ საღამოს რუ-  
 სო იმავე სახლის აივანზე იჯდა და სახვალთო გაკვეთილებს  
 ამხადებდა.

ესოში შემოვიდა სუფთად ჩაცმული, ღრმად მოხუცებული,  
 წელში მოხრილი კაცი და საღამო. მისცა მოწაფეს.

— ვინ ბრძანდებით, ბატონო, რა გნებათ? თავაზიანად  
 შეეკითხა რუსო.

— მე სოსიკა გლეხი გახლავარ, შენი ჭირიყე, შენ კი  
 ის უნდა იყო, აი, რუსოს რომ გემსდნენ ჰატარობისას.  
 თვალებში გატეობ, რომ ისა ხარ. შენ აბა რას მიცნობ... —  
 თითქო დარცხვენით ამბობდა მოხუცი.

რუსოს ღოეები შეუწითლდა. თითქო ამხანაც სირცხვილი  
 იგრძნო, რომ ვერ იცნო ის კაცი, რომელმაც ამის სახელიც  
 კი იცოდა. ერთ წამს განუძებული იყო და ეკონა, ან აგერ  
 გამოვა დედა ჩემი აივანზე, ან აგერაო, მაგრამ, რომ აღა-  
 რავინ დაინახა შინიდან გამოსული, ისევე თვითონ უთხრა მო-  
 ხუცს:

— რა ვქნა, სულ ვერ გიცხანით.. მაპატეთ...

— მე ისა ვარ, ვისაც შენ, ისევე ქორუბ ბავშვმა, ორი  
 ატამი აჩუქე.. იმ ატმების კურკები მიწაში ჩავრკეე. გაიხარა  
 გაიხარდა, ატამი მოისხა და აი მიერთვი, ჩემო კეთილო  
 ბავშვო. შენსავით ღოეა წითელა ეს ატმებიც... დიმილით



დაუმატა მოხუცმა და მიაწოდა რეზოს თეთრი ქაღალთი მუხით სავსე.

— თქვენი ოჯახის ჰურ-მარილი მადლიანი გამოდგა ჩემთვის. ქაღალტონო, დმერთმა გაკურთხოთ, — უთხრა სოსიკამ რეზოს დედას, როცა აივანზე გამოსული დაინახა.

იმ დღიდან სოსიკა მოხუცი ეოველს წელიწადს უზიდავდა რეზოს ოჯახს როგორც ატამს, ისე სხვა მშუენიერს ხილს, ერთს ზაფხულს სოფელშიაც წაიუვანა თავისი საეკარელი რეზო და იქ შვილის-შვილა მოანათვლინა.

განდევილი





## მზე და მთვარე.



(გრაზულოთ)

შვენციო რი სდამოა! აქ მოდი, ანტონ, —  
უთხრა მამამ თავის შვილს: — შეხედე,  
მზე ჩანსკლას აწირებს. რა ლამაზია! ახ-  
ლა შეკვიძლია კარვად დავათვალიეროთ:  
ისეთი ბრწყინვალე აღარ არის, როგორც  
სადილობის დროს, როცა ძაღლა იყო. კარკემო ღრუბლებიც  
ლამაზი აკრავს — ეირმიზი, ტუვიისა და ოქროს ფერი! მშვი-  
დობით, მშვო, სვალ დილამდის!

— ახლა, ანტონ, მიხედე მეორე მხარეს, ეს რა ზრიალებს  
ხეების იქით? ცეცხლია? არა, მთვარეა, დღეს ის სრუ-  
ლიად რკვლია, — სავსე მთვარეა. სვალ სდამოაზე ასე რკვა-  
ლი აღარ იქნება. სეკ კიდევ დააკლდება ერთი ნაწილი, მა-  
სეკ კიდევ მეორე ნაწილი და ასე თან-და-თან იკლებს, სანამ  
შენ შეიღდს არ დაემსკავსება. მაშინ იმის დანახვა შეიძლება  
მხოლოდ იმ დროს, როცა შენ უკვე ლოგინში იქნები. დღითი-  
დღე იმდენად დაზარავდება, რომ ორი კვირის განმავლო-  
ბაში სულაც ვერ დაინახავთ. მერმე ახალი მთვარე ამოვა,  
რომელსაც შენ დანახავ ნამუადღევს. ის ჯერ ზატარა იქ-  
ნება, მაგრამ უოველ დღე იმატებს, იზრდება და რკვლდება  
ორი კვირის განმავლობაში, შემდეგ კი სრულიად რკვალი



გახდება, როგორც დღესაა, და შენ კიდევ დაინახავ მას ხეობაში უკან.

— ჰო, მაგრამ, მაძილო, როგორ არის განხრებული ჰაერში მზე და მთვარე? მე ეოკელთვის მეშინია, არ ჩამოვარდნენ.

— დამშვიდდი, შვილო, საშიში არაფერია. როცა შეიძლება გაგებას, ევკლადეს აგისსნი. ჯერ კი უური დაუგდე, რას გეუბნება ერთიც და მეორეც ჩემი ზირით: მზე ამბობს მჭექარე სმით: მე დღის მეყუ ვარ: მე ამოვდივარ აღმოსავლეთით, განთიადი წინ მომიძღვის, რომ აცნობოს მიწას ჩემი ამოსვლა. ვუკაკუნებ შენს ფანჯარას ჩემ ოქროს სხივს, გატეობინებ, რომ აქა ვარ და გეუბნები: ზარმაცო, იმისთვის რომ არა ვბრწყინავ, რომ მიღში მთანთქმული იყო? არა, მე იმიტომ ვბრწყინავ, რომ ადე და იბრომო. მე დიდებული მოგზაური ვარ. დავდივარ როგორც ბუმბერაზი ცის უსაზღვრო სივრცეში. არ ვცხვენებ, მაგრამ როდი ვიძლეები. თავს ოქროს სხივების ბრწყინვალე გვირგვინი მადგია. მთელ დედამიწის ზურგს ვუენ ამ სხივებს და რასაც მოხვდება ევკლადესი საუცხოვოდ ბრწყინავს. როგორც სინათლეს, ისე უსვად ვიძლევი სითბოსაც. ვამწიფებ სილს და მოსავალს. ბუნების მეფობასე რომ ხელი ავიღო, ნიადგი ნაყოფს არ გამოიღებს და საწვალე ადამიანები მიმძალით და შიშით დაისოცებიან სიცივეში და სიბნელეში.

მალიან მაღლა ვარ ცაში, მთებსე და ღრუბლებსე უფრო მაღლა. საკმაოა ცოტათი ჩამოვიწიო, რომ ჩემმა ცეცხლმა ერთ წამს გაანადგურახ დედა-მიწა, როგორც განურებული საკირე მთანთქავს ზაწია, მსუბუქ ჩაღას. რამდენი საუკუნეა მთელი ქვეყნის სინარული ვარ. ექვსი წლის წინათ ანტონი სულაც არ იყო ამ ქვეყანასე, მაგრამ მზე კი იყო. მე ვი-



ეპი მამინაც, როცა შენი დედ-მამა განდა და კიდევ ბევრი ათასი წლით ადრე, მაგრამ მამინც არ დავებრებულვარ.

ხან და ხან მე ვისდი ბრწინვალე კვირკვის და თავს ვერცხლის ღრუბლებით ვიხვევ. მამინ შეგიძლია გამომართო თვალი, მაგრამ როცა გაუფანტავ ღრუბლებს შუადღისას და ამოვამუქებ მთელი ჩემი დიდებით გაბრწინვებული, შენ ვუღარ გაბედავ ჩემ შესედვას: თვალებს დაგწვავ, დაგაბრმავებ. მხოლოდ ფრინველთა მეფეს ვაძლევ ნებას, მაღლა ჭაერში უძრავად განკრებული დანტკებს ჩემი დიდების ცქერით.

არწივი მძლავრი ფრთებით მოფრინავს ჩემკენ მაღალი მთის შვევრვალიდან, ნავარდობს ჩემ სსივებში და მოკრძალებით მაძლევს საღამს. ზეცაში ტოროლა თავის ტკბილი გალობით შესაღამება და ფოთლებში მძინარე ფრინველებს აღვიძებს. მირს მიწაზე მაშალი მაღალი ხმით აცნობს სოფლებს ჩემ დაბრუნებას; მხოლოდ ბუ და ღამურა გაუბრბიან ჩემ სინათლეს და საცოდავის ჭეივილით თავს აფარებენ კოშკების ნანგრევებს. იმ თავმომწონე კოშკებისას, რომელნიც რამოდენიმე ასი წლის განმავლობაში ჩემ თვალწინ სიამავეთ დანცქეროდნენ სოფლებს. ისინი იუვენენ სოფლის ბატონები, მაგრამ სიბერემ სძლია და ჩამოინგრენ.

ჩემი სამფლობელო უსახდვროა. მთელი სამეარო ჩემი სამეფოა. მე ვველაზე მშვენიერი და დიდებული არსება ვარ მთელ ქვეყანაზე.

მოვარე კი ნახი ხმით ამბობს: მე ღამის დედოფალი ვარ. მე გიგზავნი ჩემ ნახი სსივების სინათლეს მამინ, როცა მზე აღარ ანათებს დედამიწაზე.

შეგიძლია უვნებლად მიცქირო უოველთვას: არასოდეს არ ვბრწინავ ისე, რომ დაგაბრმავო: მე არ ვწვავ არაფერს, ნებას ვაძლევ ზაწია, შავ ჭიანაც კი ამუქოს ბალახებში; მამინ, როდესაც მზე უწვალოდ სტაცებს მას სინათლეს, გარს მას-





ვევია მოციმციმე ვარსკვლავთა ჯარი, მაგრამ მე უფროსად თელი ვარ ვეულაზე და იმათ ჯგუფში ისე ვბრწეინავ, როგორც დიდი მარგალიტი ჰატარა ელვარე აღმასთა შორის.

როცა იძინებ, მე ვაშუქებ ვერცხლის სხივს შენი ფანჯრის ფარდებში და გეუბნები: იძინე, ჩემო ჰაწია მეგობარო, შენ დაღლილი ხარ... არ დაგიურთხობ ძალს.

ფრინველთა შორის საუკეთესო მგალობელი ჩემთვის მღერის. იმის სიმღერა ნახია, როგორც ჩემი შუქი და სიამით ავსებს მთლად არე-მარეს. ცვარი ნელა ეშვება ვვაჟილებზე და ვველგან სინუქ და მეუდროებაა ჩემ სამეფოში.

მაგიტა





(დასასრული)



ბავშვები ერთ წამს გაცვივდნენ, მოაწებინეს კალთი, რბილად ბლახ ჩაკებულა, ჩასვეს ფრთხილად შიგ ვევაგი და დასდგეს ფერთან მოხერხებულს ალაგას. ბოძა,—ასე ერქვა კატას,—ცნობის მოუვარეობით წამოდგა, შივიდა კალათთან, ჩაჭყდა, და რა ნახა, რომ არა იყო—რა სახარბიელო, ისევ თავის ადგილზე წამოსკუნდა და ზირის ბანა დაიწყო.

—ასლა გასწით სახლისკენ! —უთხრა მოხუცმა ბავშვებსა. ბავშვებმა ერთი კიდევ ჩაჭყდეს ვეავს, გადაუსადეს მოხუცს მადლობა და ფესშიძველა რაზმმა ვეჩინით გასწია სოფლისკენ.

მაგრამ არ გასულა ერთი საათი, რომ ისევ ვეჩინით მოადგნენ მოხუცის კარებსა. აკულინა შეფიქრიანდა, რომ დაინახა ბავშვები, შექმინდა, ეგონა, ისევ ვაძლებინათვის მივიდნენო.

—აქ რა გინდათ? დაიკარგენით აქედან, სახამ ჯოხით არ გამირეკნართ.

—დიდუდო, ვევაგი ხომ არ მოკვდა?—ქლოდნენ ბავშვები.

—დაიკარგენით, დაიკარგენით!

—დიდუდო, საუვარელო, გვითხარი, ვევაგი ცოცხალია?

—ცოცხალია, დაიკარგენით.

—მაშ, მშვიდობით, დიდუდო, მოიკითხე ვევაგი, სვალ დილახე მოვალთ.



— თქვენ-ღა მკვლდით! დაიკარგენით.

ბიჭებს არ ავიწყდებოდათ ევაზი: დღეში რამდენჯერმე მოირბენდნენ სანასავად, უზიდავდნენ: სორცს, ჰერს, ფაფას და სხვას. მაგრამ ევაზი ზირველ ხსენებში არაფერსა სჭამდა, მხოლოდ წუალსა სვამდა. მალე გამობრუნდა, მადა მოუვიდა, კალათში ნელა წამოდგომა იწყო. ორის კვირის შემდეგ აკულ-ნამ გაუსხსნა ფეხი, მოაშორა კვარი, ფეხი შეჭხორცებოდა ბავშვების სხარულს და აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა ევაზი შორხენილი დინახეს. მართალია, ოდნავა კოჭლობდა, ფრთაც ჩამოვარდნილივით ჰქონდა, ერთი თვალ-ამობლისკნული, მაგრამ ბიჭებს მინც ლამაზა ეჩვენებოდათ, ერთთავად უკვავებდნენ და ახებივრებდნენ. ევაზი ცრმობდა მათ მიფრებას და ღღარ ვრიდებოდა ბავშვებსა. სასკარტით ართ-მკვდა: ტებილეულობას, სტაჟილოს, მუხუდოს, და სსგ... და განარებული შედიდურად უვლიდა ქოსს გარშემო ფთის ფარფატითა. ბოგანო მოსუჯიც ძალიან შეეჩვია მასინჯ ევაზსა და განუწვევტლივ ელანარაკებოდა.

— აი, ზატარა დაცაღე, — ეუბნებოდა ბუტბუტოთ მოსუცი ევაზსა: — მალე მოირბენენ შენი მოუსვენრები; თუმცა წვიმან, მაგრამ ეს იმათ არ შეაძინებთ, მოვლენ, ქოსს სულ მოსთხუ-ნინ ის უსაქმურები.

მართლაც, რამდენსამე წამს შემდეგ, მოისმოდა ტალახში შლანა-მლუპი და უცხად მთელი გროვა ბავშვებისა, დასკველ-ბულები, გათხუნულები შემოცვივდებოდნენ ქოსში.

— გამარჯობა, დიდგო, გამარჯობა ევაზო, გამარჯობა ბოშა! — ეიყინებდნენ ბიჭები.

— ზირჯურის დაწერა არ დაგაფცწედეთ! — ეუბნებოდა აკულ-ლინა და ცდილობდა ბავშვები მიეჩვია წესიერებას.

ბავშვებიც გულმოდგინედ იწერდნენ ზირჯურსა; მოვალე-ობის აღსრულებას შემდეგ სხდებოდნენ: სოგნი იატაკზედ,

ზოგნი—გმელ სკამზედ, ზოგნი შემოესვყოდნენ მოსუსტად, გულმოდგინედ უამბობდნენ სოფლის ახალ ამბავს. ზოგნი ევავს და კატას ეთამაშებოდნენ. ქოსში ჟრიაშული იდგა.

ასე ეოველ დღე მოდიოდნენ ბავშვები აკულისასთან; ჩუქულებიანაშებრ, მიესალმებოდნენ და ეიქინებდნენ ქოსში.

ენკენისთვის კასულს ბავშვები წიგნებს მოუსხეს; ახლად მხოლოდ მუადლის უკან-და შერბოდნენ აკულისასთან. მხოლოდ ზატარა ვანო არა სწავლობდა სკოლაში და ამიტომაც ეოველ დილით მიირბენდა ხოლმე აკულისასთან.

მთლად გამოსცვალა ამ ზატარა დუგეჯა ბიჭმა ეს დედაბერი. არც თოვლი, არც წვიმა-ქარი არ შეიკავებდა ვანოს: ეოველ დღე მიდიოდა დედაბერთან, გმელ, თბილ ახალღოსში და მამის ქედით გამოწეობილი, ძევიდოდა წუნარად, მოისდიდა ქედს, ზირჯვარს გადიწორდა, იმას სხვებსავით მოგონება არ უნდოდა, მიესალმებოდა ეველას:

— გამარჯობა, დიდგო, გამარჯობა ევაგო, გამარჯობა ბოძა!

ვანოს დანახვა და დედაბერის სიამოვნება და გამხიარულება ერთი იყო. არ ახსოვს აკულისას, რომ ვანოს გეჯავრებინოს როდისმე, სხვა ბიჭებევიტ. ევაგიც მხიარულად ურბენდა ქოსს გარშემო. კატა ეხანუნებოდა ფეხებზედ. ეველას ესიამოვნებოდა, უხაროდა. ზატარა ბიჭი დედაბერს შველოდა სექმის გაკეთებეს, ხან კი ევაგსა და კატას ეთამაშებოდა. ხშირად დედაბერთან სადილობდა, სადილს შემდეგ ჩხირებს სთლიდა, ხუსულას აკეთებდა. ასე ჭკვიანად ჩუქუნებდა თავისთვის.

აღერსიანად შეჭხედავდა დედაბერი ვანოს, ამოიხრებდა და ზუსუნით ეასწევდა საკუწხანოსკენ. აარჩევდა დაუნანებლად კარკს ვაძლს, მოუტანდა ვანოს, მისცემდა და თან ეტეოდა: „აჭა, ვანო, ვაძლი, დმერთმა შეგარკოს!“



— კმადლობთ, დიდედო, — ალერსიანად ეტეოდა ვანო, და გამოართმევდა ვაშლს.

დედაბერი ეოველ დღე აზირებდა ქალაქში ვაშლების წაღებას და ვერ ასერსებდა: ხან ესარებოდა, ხან არა სცალოდა; ამასობაში ვაშლი ცოტავდებოდა; ვანოს გარდა, თითქმის არც ერთ ბავშვისთვის არ უწყვეთა ვაშლი, მაგრამ ბავშვებს არც კი მოჭკონებიათ ვაშლები. აკულინა წინდას ქსოვდა, აი ჩასთვლიდა, უცებ ბავშვების გუნდი გაეინულ-გათოძილი, ეი-ჟინით ძეშოცვივდებოდა, მიესალმებოდნენ მოსუცს და გამოაფხიხლავდნენ.

— ოჰ, თქვე შეუპოვრებო, როგორ შემაძინეთ, ჰირვავრი გადიწერეთ! — მოაკონებდა მოსუცი.

ერთს წამს გაჭქრებოდა ოთახში სინუშე, ეველანი სცდილობდნენ, ახალი ამბავი ეთქვათ, ერთმანეთს არ აცდიდნენ. მოსუციც იღანძლებოდა: — თქვე მოუსვენრებო, ანცებო, ლაწირაკებოვო; — მაგრამ ბავშვებს არა სწეინდათ, რადგან იცოდნენ, რომ მოსუცი ესუძრებოდა.

მობის წინად ორ კვირას საშინელი ეინვები დაიჭირა, ბავშვები სიცივისა და ეინვის გამო ვეღარ მოვიდნენ დედაბერთან. ძალიან მოიწუინა დედაბერმა, თვალში აკლდა მერტადრე ვანო.

დაფრატუნებდა მოწუენილი დედაბერი ქოხში და ებუტბუტებოდა ევაზსა: „მე და შენ დაგვივიწუენ ჰატარებმა“.

თუშვა დარწმუნებული იყო დედაბერი, რომ ბავშვებმა არ დაივიწუენ არც ისა, არც ევაზი, რომ ბავშვებს ეინვის გამო არ უშვებდნენ მშობლები გარედ, მაგრამ მანც იმეორებდა: „დაგვივიწუენ ბავშვებმა, ევაზო“!

ერთსელ დედაბერი რაღასაც ფუსფუსებდა ფქითან. ევაზს უნდოდა მოსუცი გაესარებინა, დაიწუო ბავშვების მაკვირად



ჭიუჭიუი! „გამარჯობა, დიდგდო, გამარჯობა ბოძა, გამარჯობა, უვაჟო“.

მოხუცს რომ შემოესმა ნაცნობი ხმა, უცებ მოიხედა: ღმერთო ჩემო, ეს ვინ არის? ეკონა ბავშვები მოდიანო; მარამ არაჲინ არ იყო, ძალიან გაუკვირდა. კიდევ გაშეორდა ჩვეულებრივი ხმა.

მოხუცი შეკრთა, ზირჯვარი გამოისასა, მოიხედა და დაინახა, ვვაჟი დასდევდა უკან და შეაფიოდ იმეორებდა ბავშვების სალაშს.

— ოჲ, შე სულელო უვაჟო! რანაირად შეძამინე მეც და კატაც. ერთი შეჭსკედეთ ამასა, ლაზარაკიც რო ისწავლა. მოგლენ ჩვენი ანცები და გაინარებენ, რო გაიგონებენ შენ ლაზარაკს. ილაზარაკე, სულელო უვაჟო, ილაზარაკე!

გათენდა შობა დღე. ის იყო მოხუცმა მილაღა ქონი, ანთო კანდელი, რომ შემოჲიდნენ მორთულ-მოკმაზული ბავშვები. ეველანი მიუახლოვდნენ სატს და წენარად დაიწერეს ზირჯვარი და წკრიალა სმით დაიწვეს გალობა: შობამან შენმა, ქრისტე, ღმერთო ჩვენო... სიფნიფით იმეორებდა სიტყვებს განარებული აკუელინაც და გულმოდგინედ ლოცულობდა. უსაროდა აკუელინას, რომ მას, რომელსაც ჯადო ქარს, აჲ სულს ემანდნენ, ეველანი ვრიდებოდნენ. დღეს უმანკო ბავშვები ესტუმრნენ და იმის ქონში გალობით ადიდებდნენ ერთმა იესოს. სინარულის ცრემლები ჩამოსდიოდა დაღმეჭილს სასეზე მოხუცს, აღერსით შესცქეროდა ბავშვებს და თან ფიქრობდა: „ანგელოზები გალობენ“. მხემაც ბრწუინვაღედ შემოამქუა მოხუცის ქონში, ბავშვების სასე გაბრწუინა და უურო დაამზავსა ანგელოზებს.

— მოკვილოცნია დღესასწაული, დიდგდო! — მიესალმნენ ბავშვები გალობის შემდეგ.

— მეც მომილოცინა, გმადლობთ, ჩემო ბავშვებო. —  
 რულად და ალერსიანად უმანუსებდა დედებური. ბავშვებმა კუ-  
 დარ იცნეს მომღიძმარი, აღტაცებული, ისე გამოიცვალა აკუ-  
 ლინა.

— გამარჯობა, დიდუბა, გამარჯობა, ევავო, გამარჯობა,  
 ბოძა! — დიწყო ჭიუჭიეი ევავძაც.

ბავშვები შეკრთენ: ალბად ჯადოქარიანო, — იფიქრეს.

— ნუ გემინანთ, სუფელებო! განა არ გაგიგონიათ,  
 თუთიუქს რომ ეძახიან. ის ურინ ველები ლაპარაკსა სწავ-  
 ლობენ, ჩვენ ევავსაც სულ ერთი და იგივე ესმოდა და ლა-  
 პარაკი ისწავლა. აბა, თუ ჩემი არა გჯერათ, მასწავლებელს  
 ჰკითხეთ.

უფრო გამბედავი ბავშვები გამოელაპარაკენ ევავსა.

ბავშვების გუნდი ახლა მასწავლებელთან წავიდა მისალო-  
 ცად. მიესალმნენ და უამბეს ევავის ამბავი. მასწავლებელმა  
 დაარწმუნა, რომ შეუძლიან ევავს ისწავლოს ლაპარაკი, მერე  
 წაუკითხა ჰატარა მოთხრობა მოლაპარაკე ევავისა. ბავშვებს  
 უვავი უფრო შეუეწარდათ. მოხუცის ჯადოქრობა და თილისმა  
 აღარავის სჯეროდა.

გავარდა ხმა სოფელში, ევავი ლაპარაკობსო. მოდიოდა  
 და მოდიოდა მნახველი დიდი და ჰატარა დედებრის ქონში;  
 ბავშვებიც თავმოწონებით აზვენებდნენ ევავსა და აღაპარაკებ-  
 დნენ ევავს; უხაროდათ ასეთი ამბავი. საღამომდის დარჩნენ  
 აკულისასთან ბავშვები. მოხუცს გარს ეხვივნენ და გაუფი-  
 ცებით უსმენდნენ ზღაპრსა. ზღაპრებით გატაცებულიები ევავს  
 უურადღებდნენ აღარ აქცევდნენ. ეს არ მოეწონა ევავს, ხან ერთს  
 წაჰკრანისკარტი, ხან მუორეს, მაგრამ არავინ უურადღებდას არ  
 აქცევდა. — უცებ წამოიჭიუჭიეა:

„დაგვივიწვეს მე და მენ, ევავო, დაგვივიწვეს!“



ბიჭებმა უცებ მოიხედეს, უვაზი კატას ამოჰკროდა გვერდში მოწვენილი. ბავშვები დედაბერს მოძორდნენ, კარს შემოესვივნენ უვავს და ამოორებინებდნენ მის სიტყვებს. მერე სცადეს სტვენა ესწავლებინათ, მაგრამ უვაზი ეურს არ უკადებდა, კატას ეთამაშებოდა და აცინებდა ბავშვებს.

აკულინა შევიდა საკუწხაოში, კამოიტუნა მშვენიერი ვაშლები და სათითაოდ დაურიგა ბავშვებსა.

ბავშვებს სინარულინსაგან თვალები გაუბრწვინდათ; ამისთანა გამასწინძლებას არ მოელოდნენ.

ბავშვებმა მადლობით გამოართვეს ვაშლები, მერე გაუცქვენეს, მისთავახეს აკულინას და უვავს. უვაზი ეველას ართმევდა და ერთ კუთხეში აგროვებდა.

— აბა, ახლა სახლში წადით, — უთხრა აკულინამ.

— ზირჯვარი დაიწერეთ! — წამოიტიუჭიუა ევაშმა.

ბავშვებმა სიცილ-ხარხარი დაიწიეს. ეონაღ, ევაგო, ნახვამდის! ხვალა გნახავთ.

დადგა კახაფხული. მწვანედ შეიმოსა მ. ნდორ-ველი, სეები. გაიძალა აკულინას ვაშლის ხეცე: შესცქერინა ბავშვები და უხარიანთ, რომ ბლომად ერგებათ ვაშლი. ევაშმა ლაპარაკს უმატა. ჭკვიანმა ფრინველმა ახლა ვაშლის ხის ეარაულობა ისწავლა აკულინასაკან. ფრინველს არ ატანჯანებს, თან გაჭჭეივის: „გამძორდით, თორემ კაი-კაი ჯოსებს მოკარტვამთ.“

ბავშვებს სკოლებში გამოცდა გაუთავდათ, თავისუფლად დარბიან ტყესა და მინდორში. უზიდავენ აკულინას: სოკოს, ჯახველას და სხვ.. თან დაჭუავთ ევაგიც და ალაპარაკებენ.

აკულინასთან ახლა ხალხიც ბლომად დადის, აღარ ერიდებიან, წამლებს ამზადებინებენ და თან უზიდავენ ფულს,

სილს, ზურს და სსე... მთლად გამოკეთდა მოსუცის  
 მე. აღარც მარტობა აწუსებს, აღარც სიღარიბე. აი,  
 ასე გაბედნიერეს ბავშვებმა და ევაჟმა მოძულებული აკუ-  
 ლინა და ახლა ეველას საეკარელი და სასარგებლო ად-  
 მიანია.

ან. ახალშენიშვილი.





# ღებელი.

იჯავი



რთმა გულ-კეთილმა ადამიანმა ღარიბს ობოლს  
ახალი ძვირფასი ტანისამოსი უწვებლობა.

მესობლის დედ-მამიანმა ბავშვმა რომ ეს უმა-  
წვილი მძევსიერს ტანისამოსში კოსტად გამოწ-  
უობილი ნახა, შურით ჰკითხა ძორთულ ამხა-  
ნავს:


— აბა, დღემდის სულ რომ სწიოდი და სტიროდი, მი-  
თხარ, ახლა რაღა გაკელია?

— დედ-მამაო, — ნაღვლიანად მიუგო ობოლმა.

ალ. შირიანაშვილი







## კაცმა ლომი მოატყუა.



კომი გამოეკიდა კაცს. შეშინებულმა კაცმა  
ხერხი მოიგონა თავის გადარჩენისა. იმათ  
წინ უფსკრული იყო. კაცმა მოირ-  
ბინა უფსკრულთან, მოისხნა წამოსა-  
სხმელი და ქუდი, ერთიცა და შეო-  
რეც ჩამოაცვა ჯოხზე და ასწია მღ-  
ლა. ლომს ეს საურთხოები კაცი ეკო-  
ნა, მიუარდა და გადაიჩენა უფსკრულ-  
ში. კაცი მშვიდობით გადარჩა.

მ. ჭ.



# რეპუსი



მე-18 №-ში მოთავსებულ ცხრილის და რეპუსის აღსნა:

ცხრილის აღსნა:

ქ	ქ	ქ	ქ
ქ	ფ	ფ	ქ
ფ	რ	ფ	რ
ა	ი	ა	ი

რეპუსის აღსნა: კატომ თხილის სე დაკაუბა.

ნაკადულის რედაქციაში და წ.-კ. საზ.

ქალაქში იყიდება შემდეგი წიგნები:

**ზღაპრები**, ვილჰელმ და იაკობ გრიმისა, ნაკადულის რედაქციის გამოცემა, ფასი . . 30 კ.

**სომხის თავ გადასავალი**, თხზულება, მარკო ტუენისა, გამოცემა ნაკადულის რედაქციისა, ფასი . . . . . 50 კ.

**რას გვიაგვრებს ოთახი**. თხზულება ავენა-რიუსისა, გამოცემა ნაკადულის რედაქციისა, ფასი . . . . . 20 კ.

# მიიღება ხელის მოწერა

1910 წლის იანვრიდან 1911 წლის იანვრამდის.

საუბაწვილო სურათებიანი ჟურნალი

# ნ ა კ ა დ უ ლ ი

წელიწადი მთავრდება

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

**24** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“  
ლი“ მცირე წლოვანთათვის მოზრდილთათვის.

გარდა ამისა 1910 წლის ხელის-მომწერლებს პრემიად მიეცემათ:

- I. დედაჩინა და კუდიანი ვარსკვლავი, — ზღაპარი ევადლისა კექსი სურათით. — II. მარჯნები, — ზღაპარი ევადლისა ოთხი სურათით.
- III. თორმეტი და, — ზღაპარი ევადლისა ერთი სურათით. — IV. ქართული მხატვრული ასოები კუბიკაგზო.

ჟურნალს ხელმძღვანელობს უწყვეტ საგანგებოდ არჩეული სარედაქციო კომისია.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ზუთი მანეთი. ნახევარის წლით სამი მან. სამზღვარ კარედ: წლიურად შეიღი მანეთი. ნახევარ წლით ოთხი მან. მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი სამი მან. — მოზრდილთათვის 12 წიგნი სამი მან. — ხელის-მოწერა შეიღება წლიურად და ნახევარი წლით. ფულის შემოტანა შეიღება ნაწილ-ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება:

- 1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახ., № 8, ყოველ-დღე 9 — 2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.
- 2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სსახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ ავტოს ანუ რედაქციას, არა უგვიანეს ერთის თვისა.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე

გამომცემელი: თავ. პ. ი. თუმანიშვილი. ი.